ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 16 მარტიდან დღემდე კომისიამ ჩაატარა 2 სხდომა კომისიის სხდომების დროს განხილული იქნა ხუთი საკითხი:

1. მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოთა მზადყოფნის თაობაზე შ.პ.ს „მექანიზატორი“-ს დირექტორის ბ. გოგიტიძის ინფორმაცია.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლისა და ტყის რესურსების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა.

3. წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალნარებით უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემების განვითარება(გრძელვადიანი პერსპექტივები).

4. ღონისძიებების განხორციელება დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების მიზნით.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის თაობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ ცნობად მიიღო შ.პ.ს „მექანიზატორი“-ს დირექტორის ბ. გოგიტიძის ინფორმაცია ხვნა-თესვის სამუშაოების მზადყოფნასთან დაკავშირებით. კომისიის წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა მოსახლეობას მიეწოდოს მეტი ინფორმაცია.

მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისია მიზანშეწონილად თვლის, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლისა და ტყის რესურსების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვას შესაბამისმა სამსახური მეტის სიფრთხილით უნდა მოეკიდოს.

მესამე საკითხთან დაკავშირებით გაირკვა, რომ მოკლევადიან პესრპექტივაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლით მომარაგებისა და სამელიორაციო სისტემის განვითარება არ იგეგმება.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციისა და ტურიზმის განვითარების მიზნით შესაბამისი სამსახურები გარკვეულ მუშაობას ეწევიან, რამოდენიმე სოფელში შექმნილია ს/სამეურნეო კოოპერატივები, რომლებიც გარკვეულ წარმატებას აღწევენ. აღინიშნა, რომ ამ კუთხით კვლავაც მეტი მუშაობაა საჭირო მოსახლეობასთან.

მეხუთე საკითხათან დაკავშირებით კომისიამ მოისმინა მ. გორგოშიძის ინფორმაცია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის თაობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. კონკრეტულად კომისიამ იმსჯელა მუნიპალიტეტის გამგეობისთვის 140 ძირი ხის მოჭრაზე თანხმობის მიცემის შესახებ (დანართი თან ერთვის). აგრეთვე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1293,2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N26.12.21.002) და მასზედ მიმაგრებული მცირე ზომის დამხმარე ნაგებობის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული საკითხი გადატანილი იქნას უახლოეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: **შოთა ართმელაძე**

დანართი N1

№	გვარი, სახელი	მდებარეობა	რაოდ.	ხის მდგომარეობა	სამუშაო	შენიშვნა
1	მურმან ბოლქვაძე	დაბა ნარუჯა	5		მოსაჭრელია	მასალა
2	ეგისაპედ ვოსკანიანი	დაბა ნარუჯა	1	გამხმარია	მოსაჭრელია	შეშა
3	თემურ ახალაია	სოფ. ნატანები, შეკვეთილი	3	ხელს უშლის გზას	მოსაჭრელია	მასალა
4	ალექსანდრე ვაშალომიძე	სოფ. ნატანები, შეკვეთილი	4	საშიშროებას უქმნის საცხოვრებელ სახლსა და ელსადენს	მოსაჭრელია	მასალა
5	გამგებლის წარმომადგენელი	სოფ. ვაკიჯვარი	47	გამხმარია, ამორტიზებული	მოსაჭრელია	შეშა, მასალა
6	გამგებლის წარმომადგენელი	სოფ. ვაკიჯვარი	2	ქარისგან წაქცეული	მოსაჭრელია	ხიდისთვის
7	გამგებლის წარმომადგენელი	სოფ. ვაკიჯვარი	1	ქარისგან წაქცეული	მოჭრილია	ესაჭიროება სკოლას
8	ელენე დოლიძე	სოფ. ნატანები	1	გამხმარია, ევკალიპტი	მოსაჭრელია	შეშა
9	თინა სალუქვაძე	სოფ. ბოხვაური, სასაფლაო	1	ჭადარი საშიშროებას უქმნის საფლავებს	მოსაჭრელია	შეშა
10	თინათინ დოლიძე	სოფ. მერია, ნაღობილევი	6		მოსაჭრელია	მასალა
11	ღვთისავარ ცუცქირიძე	დაბა ურეკი	1	საშიშროებას უქმნის კაფეს	მოსაჭრელია	
12	იოსებ ბაქანიძე	სოფ. ნატანები	1	ხელს უშლის ეზოში შესვლაზე	მოსაჭრელია	შეშა
13	ნინო ჯინჭარაძე	დაბა ურეკი	7	ხელს უშლის მშენებლობას, (ნებართვა აქვს)	მოსაჭრელია	მასალა
14	გამგებლის წარმომადგენელი	სოფ. ნაგომარი	2	ხელს უშლის ეკლესიას	მოსაჭრელია	მასალა
15	გამგებლის წარმომადგენელი	დაბა ლაითური, მე-4 და მ-5 დასახლება	72	გამხმარია, ამორტიზებულია	მოსაჭრელია	შეშა, მასალა